საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრონიკაშვილები, ენდრონიკაშვილები



ანდრონიკაშვილები

ანდრონიკაშვილები, ენდრონიკაშვილები, თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში.

გვარში დარჩენილი გადმოცემის მიხედვით, ა. არიან შთამომავლები ბიზანტიის იმპ. ანდრონიკე კომნენოსისა, რ-ის შვილი ალექსი კახეთში დამკვიდრებულა XII ს. II ნახევარში. ა-ის მამულები, ე. წ. „საანდრონიკო“ („საენდრონიკო“) მოიცავდა კახეთის სოფლებს – მელაანს, ჩალაუბანს, ფხოველსა და სხვ.

XVI ს-იდან ა-მა სამემკვიდრეო სახელოდ მიიღეს ქიზიყის მოურავობა, XVII ს-იდან კი – მარტყოფის მოურავობაც. მარტყოფელ მოურავებს უმთავრესად სოფ. ფხოველის მებატონე ა-გან ნიშნავდნენ, რ-ებიც ქიზიყელი ა-ის განაყოფები იყვნენ. ისინი ზოგჯერ ზურაბაშვილების, ხოლო ქიზიყელი ა. აბელაშვილების გვარითაც იხსენიებიან. მოგვიანებით ა. თურქმანი ელების (ბაიდარი, ყარაჩა და ა. შ.) მოურავები და ქართლ-კახეთთან დროებით შემოერთებული განჯის სახანოს მმართველები იყვნენ.

ა-მა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამხ. და დიპლ. ასპარეზზე. სისტემატურად გვხვდებიან ეპისკოპოსებად ბოდბის, ნინოწმინდის, ალავერდისა და ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრებზე, ზოგჯერ რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსო კათედრაზეც. ა-ის სათავადო – „საენდრონიკო“ შედარებით სუსტი იყო. მათი სიმდიდრე და *პოლიტ.* წონა

მეფის მოხელეობას ემყარებოდა. ამით უნდა აიხსნას ა-ის ფეოდ. სახლის განსაკუთრებული ერთგულება სამეფო ხელისუფლებისადმი.

საქართვ. რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ძირითადად სამხ. ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

ლ. ტუხაშვილი